## ამომრჩევლებს

რუსთაველებს ყოველთვის ჰქონდათ ღირსების გრძნობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი. მათი რჩეულიც ასეთივე თვისებების მატარებელი უნდა იყოს, რომელიც გაიზიარებს მათს ჭირსაც და ლხინსაც, აქტიურად მოკიდებს ხელს ქალაქის, რუსთაველების წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრას. თავისი ინტელექტით, პროფესიონალიზმით, პოლიტიკური გამოცდილებით, ზნეობით შეძლებს ამ ურთულეს პირობებში არსებითი გარდატეხა მოახდინოს ქალაქის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და უკეთესი გახადოს რუსთაველების ყოველდღიურობა.

კარგად დაფიქრდით, რუსთაველებო, დღევანდელი კანდიდატებიდან რომელი იქნება თქვენი ინტერესების გამომხატველი და ღირსეული წარმომადგენელი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში? ვინ იბრძოლებს იმისათვის, რომ სახელმწიფო არსებობდეს ხალხისათვის და არა ხალხი – სახელმწიფოსათვის?

თითოეული თქვენთაგანის ხმაზე ბევრია დამოკიდებული. ასე რომ, სიტყვა ახლა თქვენზეა, ძვირფასო მეგობრებო!

საინიციატივო ჯგუფი



დამკვეთი: ნარგიზ გვალია, თბილისი, ჭავჭავაძის 75ა, ბინა 16.
შემსრულებელი: შპს „პრინტ-ექსპრესი", თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.
ტირაჟი 2000, 20.11.2002.

## ძვირფასო რუსთაველებო!

კიდევ ერთი შანსი გვეძლევა ვიყოთ ერთად. მე მხოლოდ საუკეთესო მოგონებები მაქვს ამ ქალაქთან და ისევ მინდა ვიყო თქვენს გვერდით, გავიზიარო თქვენი ყოფითი სიმძიმე. ბედნიერი ვარ, რომ მცირეოდენი, მაგრამ პრაქტიკული საქმე უკვე გავაკეთე თქვენთვის, მაგრამ გაცილებით მეტია ის, რის გაკეთებასაც სამომავლოდ ვგეგმავ.

ძვირფასო რუსთაველებო, მე თქვენ კითხვით მოგმართეთ – რა გაწუხებდათ ყველაზე მეტად და თქვენ აქტიურად გამომეხმაურეთ, რისთვისაც ძალზე მადლობელი ვარ და რაც სამომავლოდ ჩვენი თანამშრომლობის იმედს მისახავს. 122/1573

შეიძლება ითქვას, უკვე ვიცი რა გაწუხებთ. თუ ერთად ვიქნებით, ჯერ კიდევ შესაძლებელია ძალიან მძიმედ, ალბათ დიდი წინააღმდეგობების გადალახვით, ზოგჯერ თავგანწირვის ფასადაც კი ერთიმეორის მიყოლებით გადავწყვიტოთ დასაქმების მეტად რთული საკითხი, წყლის, შუქის, გაზის, დატბორილი სარდაფების, გაუტანელი ნაგვის, გაფუჭებული სახურავებისა და გზების, დაურიგებელი პენსიების, განათლების, ჯანდაცვისა და სხვა პრობლემები, რომლებიც ასე მძიმედ გაწევთ მხრებზე თქვენ და თქვენს ოჯახებს.

გარწმუნებთ, რომ ამ საკითხების მოგვარება რეალურია, საჭიროა საქმის დაწყება და ჩვენ მათ ერთად აუცილებლად გადავწყვეტთ.

ჩემი სამოქმედო პროგრამის უმთავრესი მიზანია რუსთავის, მისი მოსახლეობის დღევანდელი უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამოყვანა, მისი ცხოვრების დონის და ხარისხის რაც შეიძლება სწრაფად გაუმჯობესება.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ გაქვთ უფლება და გაგიჩნდათ შესაძლებლობა იცხოვროთ ღირსეულად, ჯანმრთელად და ბედნიერად!

გაავერთიანდეთ!

**ნარგიზა გვალია**

**2002 წლის 20 ნოემბერი**

## რუსთაველებს – სამუშაო ადგილები, წყალი, შუქი, გაზი, ჯანმრთელობა, განათლება

# გავერთიანდეთ!



# ნარგიზ გვალია

# 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარგიზ გვალია

- ქალთა დაცვის კავშირის თავმჯდომარე
- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
- საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის და ამავე ინსტიტუტის რუსთავის ფაკულტეტის პროფესორი
- წარმოებაში დანერგილ გამოგონებათა ავტორი
- პოლიტოლოგი
- კინოდრამატურგი

ნარგიზ გვალიას ცხოვრება და საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქ. რუსთავთან. მან შრომითი საქმიანობა დაიწყო ს/გ „აზოტში“, სადაც 15 წლის მანძილზე მუშაობდა. სამი წლის განმავლობაში იყო რუსთავის პურკომბინატის დირექტორი, შვიდი წლის მანძილზე – „ავტომატმრეწვის“ ლაბორატორიის უფროსი.

წლების მანძილზე იყო რუსთავის საქალაქო აღმასკომის სახალხო დეპუტატი.

იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური სტატიები და შრომები შეეხება საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს.

ის ავტორია წიგნისა „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფისათვის საქართველოში“, რომელიც პირველი მონოგრაფიული ნაშრომია ქვეყანაში პრეზიდენტობის ინსტიტუტის რეფორმების, სრულყოფის შესახებ.

უყვარს ხელოვნება, წერს კინოსცენარებს. აფხაზეთის ომზე დაწერილმა მისმა კინოსცენარმა „უღელტეხილი“ გაიმარჯვა საერთაშორისო და „ქართული ფილმის“ კონკურსებზე. სცენარის მიხედვით განზრახულია ფილმის გადაღება. კინოსცენარი „უღელტეხილი“ რეგისტრირებულია აშშ ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში.

ნარგიზ გვალია 1995 წელს ჩინეთში ჩატარებული ქალთა მსოფლიოს ფორუმის მონაწილეა. იგი შეტანილია გაეროს მიერ გამოცემულ მსოფლიოს ქალთა ლიდერთა სიაში.

მან, პირველმა რუსთაველმა ქალმა, დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა ხარისხი. მისმა სადისერტაციო ნაშრომმა წლების მანძილზე დიდი ეკონომიკური ეფექტი მოუტანა კაპროლაქტამის წარმოებას. იგი გამოგონებათა სერიალის ავტორია ქიმიური ტექნოლოგიების, მანქანათმშენებლობის, ავტომატიზაციის საკითხებში. მის ბოლოდროინდელ გამოგონებაზე, რომელიც ქალთა შრომის გაუმჯობესებას ეხება, 3 პატენტია გაცემული. ამ გამოგონებით მეზობელ ქვეყნებში, გერმანიაში, აგრეთვე აშშ-ში დაინტერესდნენ.

***

ნარგიზ გვალია 7 წლის მანძილზე საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ქვემო ქართლის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მისი აქტიური მონაწილეობით დღეს საქართველოში სამ და მეტშვილიანი ოჯახები მრავალშვილიანებად ითვლება.

ამჟამად იგი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს საქართველოს საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე – მრავალშვილიანი ოჯახების შესახებ, სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონების დახვეწაზე. განზრახული აქვს ამ და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა კანონთა პარლამენტში გატანა და მათი მტკიცე ლობირება. მისი მოღვაწეობის მიზანია შექმნას კანონმდებლობა და სახელმწიფო მექანიზმები ქალთა, ბავშვთა, ოჯახის, პენსიონერთა უფლებების დაცვისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის.

### რა გააკეთა რუსთავში

რუსთავის მკვიდრი 1962 წლიდან, იგი ყოველთვის მთელი გულითა და სულით, უანგაროდ უდგას მხარში რუსთაველებს, ღირსეულად ემსახურება რუსთავის საზოგადოებას.

რუსთავში ბევრმა იცის, რა უზარამაზარი ძალისხმევა მოანდომა ნარგიზ გვალიამ „აზოტში“ კოსმეტიკური წარმოების შექმნის იდეას. მისი აქტიური მონაწილეობით შექმნილმა პროექტმა 200 კონკურენტ ქარხანას შორის გაიმარჯვა და ამოქმედდა (ეს შემდგომ კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა). დღეს ეს წარმოება ერთ-ერთი სტაბილურად მომუშავე და პერსპექტიულია არა მხოლოდ „აზოტში“, არამედ მთელს ქალაქში.

რუსთავის პურკომბინატის დირექტორად მუშაობის დროს მისი პრინციპულობით განხორციელდა ქარხნის სრული გადაიარაღება, დამონტაჟდა და ამუშავდა ახალი ჩეხური ტექნოლოგიური ხაზი. ქარხანას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი – მოზაიკური პანოთი დამშვენებული შენობის თეთრი ქათქათა ფასადი თითქმის სიმბოლურად მიუთითებდა ქარხნის შიგნით გამეფებულ ატმოსფეროზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დროს კორუფციას იგი სიტყვით კი არა საქმით ებრძოდა, ისევე, როგორც საქმით ცდილობდა საწარმოოს მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მისი ძალისხმევით ქარხნის მოსამსახურე პერსონალს, რომლებიც ძირითადად ქალები იყვნენ, უფლება მიეცათ, ხელფასის გარდა, პროფკავშირების ხარჯზე ყოველდღე შინ წაეღოთ სამი პური, რის შედეგადაც, ერთი მხრივ წვრილმანი ქურდობის შემთხვევები ქარხანაში მინიმუმამდე დავიდა, მეორე მხრივ ამაღლდა ქალის, დედის პრესტიჟი საზოგადოებასა თუ ოჯახში.

ამ ბოლო ხანებში რუსთავის პრაქტიკაში პირველმა მან, ყოველგვარი გრანტებისა და კრედიტების გარეშე, საკუთარი დანაზოგით გახსნა და უკვე რამდენიმე [illegible] ვას ქ. №9-ში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი [illegible]ცინო ამბულატორია, სადაც მუშაობს თერაპიული და პედიატრიული კაბინეტები, კლინიკური ლაბორატორია. ამბულატორიაში უკვე დასაქმებულია 8 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

ყოველდღიურად ამბულატორიას ათეულობით ადამიანი აკითხავს. სამედიცინო შემოწმება უკვე 600-ზე მეტმა მოზრდილმა გაიარა, მათ შორის 100-ზე მეტმა დიაბეტით დაავადებულმა. მიმდინარეობს №6 (ინტერნატებში) სკოლის მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება. უკვე გასინჯულია 500-ზე მეტი ბავშვი. ეს აქცია გრძელდება. გაზრახულია სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდეს ინტერნატის სამივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და ქალაქის სხვა საბავშვო ბაღების და სკოლების ბავშვებს.



### რას აპირებს რუსთავში

- გამონახოს სახსრები და გააფართოოს უფასო ამბულატორიების ქსელი, რათა გაიზარდოს მომსახურეობის არეალი;
- გახსნას გინეკოლოგიური კაბინეტი ქალთათვის, რომელთაც უსახსრობის გამო წლების მანძილზე არ გაუვლიათ გინეკოლოგიური შემოწმება.
- საკუთარი გამოგონების საფუძველზე აამუშაოს საამქრო, რომლის მიერ გამოშვებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც საქართველოს შიდა ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ. შეიქმნება სამუშაო ადგილები, დასაქმდებიან რუსთაველები, შეივსება ბიუჯეტი.